

## დანართი C2 ESIA-ს საჯარო განხილვის ფაზაზე მიღებულ შენიშვნებზე პასუხები

## სარჩევი

1	შესავალი .....	1
2	საჯარო განხილვის პროცესი .....	2
2.1	მიმოხილვა.....	2
2.2	გამოხმაურების მიწოდების მექანიზმები .....	2
2.3	გამოხმაურების გათვალისწინება.....	2
3	დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების მიმოხილვა .....	4
3.1	ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები .....	4
3.2	სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები .....	5
3.3	სხვა შენიშვნები .....	6
4	დეტალური პასუხები დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნებზე.....	7
4.1	გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მიღებული შენიშვნები .....	8
4.2	პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები.....	18
4.2.1	საკითხის რეზიუმე: ეკოლოგიური ზემოქმედებები.....	18
4.2.2	საკითხის რეზიუმე: მიწის რეგისტრაცია და კომპენსაცია.....	19
4.2.3	საკითხის რეზიუმე: მიწათსარგებლობა და განვითარება.....	20
4.2.4	საკითხის რეზიუმე: დასაქმება.....	20
4.2.5	საკითხის რეზიუმე: ინფრასტრუქტურა და მომსახურებები .....	21
4.2.6	საკითხის რეზიუმე: დასახლებაში ინვესტიცია.....	21
4.2.7	საკითხის რეზიუმე: დასახლების უსაფრთხოება .....	22
4.2.8	საკითხის რეზიუმე: SCPX -ის მშენებლობა და სუფსის ტერმინალის ექსპლუატაცია.....	22

## ცხრილები

ცხრილი 4-1: ESIA-ს ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით მიღებული შენიშვნები და პასუხები - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო .....	8
ცხრილი 4-2: ESIA-ს ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით მიღებული შენიშვნები – პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები .....	23

## სურათები

სურათი 3-1: დაინტერესებული მხარეების მიერ ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი .....	4
სურათი 3-2: დაინტერესებული მხარეების მიერ სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი .....	5
სურათი 3-3: დაინტერესებული მხარეების მიერ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი .....	6
სურათი 4-1: საკითხზე გაცემული პასუხის რეზიუმეს ფორმატი .....	18

## 1 შესავალი

WREP-SR პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების (ESIA) ანგარიში დაეკვემდებარა 45-დღიან საჯარო განხილვის პერიოდს, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. საჯარო განხილვის პერიოდში დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების გათვალისწინებით, განხორციელდა საჯარო განხილვისათვის მომზადებული ESIA ანგარიშის პროექტის (2016 წლის აპრილი) გადახედვა, რომლის საფუძველზეც შედგენილი იქნა WREP-SR ESIA-ს საბოლოო ანგარიში. უკანასკნელი წარედგინება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს განსახილველად და დასამტკიცებლად.

წინამდებარე დანართში მოცემულია დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების მიმოხილვა და ზოგადი ანალიზი; აგრეთვე მოყვანილია შენიშვნებზე გაცემული პასუხების შეჯამება და მითითებულია ყველა ცვლილება, რომელიც შეტანილი იქნა ESIA ანგარიშის პროექტში შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

## 2 საჯარო განხილვის პროცესი

### 2.1 მიმოხილვა

ESIA-ს ანგარიშის პროექტის საჯარო განხილვის ეტაპი, რომელიც უფრო დეტალურადაა აღწერილი მე-9 თავში (კონსულტაციების პროცესი) და დანართ C1-ში (საჯარო განხილვისა და კონსულტაციების გეგმა), მოიცავდა შემდეგს:

- ESIA-ს ანგარიშის პროექტის, ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობის ანგარიშის (ESBR) და არატექნიკური რეზიუმეს (NTS) ქართულენოვანი ვერსიების განსაჯაროება საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ პუნქტებში თბილისსა და დაგეგმილი საპროექტო ტერიტორიების სიახლოვეს
  - ESIA-ს, ESBR-ის, ტექნიკური რეზიუმეს და NTS-ის ასლები, დანართებთან ერთად ხელმისაწვდომი იყო ზეგავლენის ქვეშ მყოფ ყველა რაიონში/ქალაქში და ტერიტორიული ორგანოს ოფისებში
  - NTS-ის ასლები ხელმისაწვდომი იყო საჯარო დაწესებულებებში ყველა ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებაში (PAC-ები)
- ESIA-ს ანგარიშის პროექტის, ESIA-ს, ESBR-ის, ტექნიკური რეზიუმეს და NTS-ის ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი ვერსიების განსაჯაროება BP-ს ვებგვერდზე [www.bpgeorgia.ge](http://www.bpgeorgia.ge)
- ექვსი საჯარო შეხვედრა.

### 2.2 გამოხმაურების მიწოდების მექანიზმები

პროექტისათვის ანგარიშის პროექტის შესახებ გამოხმაურების მიწოდება შესაძლებელი იყო შემდეგი საშუალებებით (უფრო დეტალური ინფორმაცია მოყვანილია მე-9 თავში და დანართ C1-ში):

- წერილობითი გამოხმაურების გაგზავნა BP საქართველოს ოფისში
- გამოხმაურება ტელეფონით ან ელექტრონული ფოსტით
- გამოხმაურების ფორმების გადაცემა BP-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცრებისთვის ან საჯარო შეხვედრებზე
- სიტყვიერი გამოხმაურება საჯარო განხილვის შეხვედრებზე
- გამოხმაურების ელექტრონული ფორმების წარდგენა, რომელთა ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებგვერდიდან.

მიღებული შენიშვნების დიდი ნაწილი (70%) წამოჭრილი იყო საჯარო შეხვედრებზე, ხოლო დანარჩენი 30% მიღებული იქნა წერილობით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან. შენიშვნები არ მოუწოდებიათ ტელეფონის, გამოხმაურების ფორმების, ელექტრონული ფოსტის ან ვებ-გვერდის მეშვეობით.

### 2.3 გამოხმაურების გათვალისწინება

თითოეული მიღებული შენიშვნა შეტანილი იქნა დაინტერესებული მხარეების მიერ გამოთქმული შენიშვნების მონაცემთა ბაზაში; მონაცემთა ბაზაში აგრეთვე შეტანილი

იქნა ინფორმაცია შენიშვნის გამომთქმელი დაინტერესებული მხარისა და შენიშვნის მიწოდების მექანიზმის შესახებ.


თითოეულ შენიშვნას მიენიჭა უნიკალური საიდენტიფიკაციო ნომერი და კატეგორია წინასწარ განსაზღვრული სფეროების მიხედვით, რომელიც განსაზღვრავდა პროექტის ან ESIA ანგარიშის საკითხს, რომელსაც უკავშირდებოდა გამოთქმული შენიშვნა.

შემდეგ ეტაპზე ხდებოდა შენიშვნების დახარისხება საკითხების მიხედვით და მზადდებოდა პასუხი თითოეულ შენიშვნაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც მიღებული იქნა რამდენიმე მსგავსი შენიშვნა, მზადდებოდა შესაბამისი საკითხის შეჯამება, სადაც განხილული იყო მიღებული შენიშვნები და გაცემული იქნა შემაჯამებელი პასუხი. სადაც შესაძლებელი იყო, პასუხში აგრეთვე აღწერილია შენიშვნაზე რეაგირების / დასმული საკითხის მოგვარების გზა.

### 3 დაინტერესებული მხარეებისაგან მიღებული შენიშვნების მიმოხილვა

მიღებული შენიშვნების შეჯამება სხვადასხვა თემატიკის მიხედვით ქვემოთაა მოცემული. ინდივიდუალური შენიშვნებისა და პასუხების სია, ESIA ანგარიშის იმ თავების მითითებით, რომელთა გადახედვა მოხდა ამ შენიშვნების გათვალისწინებით, მოცემულია მე-4 თავში.

#### 3.1 ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები



#### სურათი 3-1: დაინტერესებული მხარეების მიერ ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი

ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნების უდიდესი ნაწილი მოგვარდა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ.


წყალთან დაკავშირებული შენიშვნები ძირითადად ეხებოდა ჩამდინარე წყლების დაგეგმილ ჩაშვებას ზედაპირულ წყლებში, წყალაღებას და WREP-SR პროექტის დაგეგმილ მდინარის კვეთებთან ჰიდროლოგიასა და წყლის ხარისხთან დაკავშირებულ მონაცემებს.

ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები აგრეთვე ეხებოდა მდინარე სუფსის იქითოფაუნაზე ზემოქმედების მნიშვნელობის შეფასებას, პროექტის განხორციელების შედეგად მოჭრილი ხეების (სახეობების მითითებით) ზუსტ რაოდენობას და ეროზიის საფრთხის შემცველ ადგილებში მილსადენის დასაცავად სპეციფიკური ღონისძიებების შემუშავებას.

ჰაერის ხარისხთან დაკავშირებული შენიშვნები ეხებოდა ეროვნულ დონეზე სათბურის აირის ემისიებს და პროექტთან დაკავშირებულ ატმოსფერულ ემისიებს.

ერთდართი, ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებიდან და ასევე ერთი შენიშვნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან ეხებოდა იმის განმარტებას მოახდენს თუ არა პროექტი ზემოქმედებას მცხეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე.

### 3.2 სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებული შენიშვნები



#### სურათი 3-2: დაინტერესებული მხარეების მიერ სოციო-ეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი


სოციო-ეკონომიკური საკითხების უდიდესი ნაწილი წამოჭრეს ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მცხოვრებებმა. შენიშვნების უმეტესობა ეხებოდა მიწასთან დაკავშირებულ საკითხებს და მოიცავდა მიწის რეგისტრაციას, კომპენსაციის გამოთვლას, მიწათსარგებლობას და შეზღუდვების დაწესებას.

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით, ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები ძირითადად გამოთქვამდნენ შენიშვნებს გზებზე ზემოქმედებებთან, მათ ტექნომსახურებასა და შეკეთებასთან დაკავშირებით. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შენიშვნა მოითხოვს უფრო დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას მესამე მხარის კომუნიკაციებთან მილსადენის გადაკვეთების შესახებ.

ერთი შენიშვნა ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებიდან ეხებოდა დასახლების უსაფრთხოებას, კერძოდ, თუ როგორ იქნება მილსადენი მონიშნული, რომ ის შემთხვევით არ დაზიანდეს.

### 3.3 სხვა შენიშვნები

საჯარო განხილვის პროცესში აგრეთვე გამოითქვა ESIA-ის სხვა ნაწილებსა და, უფრო ზოგადად, პროექტის დამტკიცების პროცესთან დაკავშირებული შენიშვნები.



#### სურათი 3-3: დაინტერესებული მხარეების მიერ სხვა საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნების ანალიზი

სხვა შენიშვნების ძირითადი ნაწილი ეხებოდა პროექტის აღწერის სხვადასხვა ასპექტს, როგორცაა მარშრუტი და უბნის შერჩევა, ნავთობისგან დაცვის პროცესი და მილსადენის გაუქმებული მონაკვეთების მართვა, შემოთავაზებული სამშენებლო გრაფიკი, მილსადენის კვეთები და მილსადენებს შორის დაშორების მანძილი და ნარჩენების მართვა.

ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების წარმომადგენლებმა დასვეს კითხვა დასახლებებში ინვესტირების შესაძლებლობის შესახებ. გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მიღებული იქნა შენიშვნები ნებართვის მოპოვების პროცედურასთან (საკანონმდებლო და სხვა მოთხოვნები) დაკავშირებით. სხვა შენიშვნები ეხებოდა საკითხებს, რომლებიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული WREP-SR პროექტთან; კერძოდ შენიშვნები ეხებოდა SCPX მილსადენის მშენებლობას და სუფსის ტერმინალის ექსპლუატაციას.



## 4 დეტალური პასუხები დაინტერესებულ მხარეთა შენიშვნებზე

ქვეთავში 4.1 წარმოდგენილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მიღებული ყველა შენიშვნა.

ქვეთავი 4.2 ეხება შენიშვნებს, რომლებიც მიღებულია 2016 წლის ივნისში ჩატარებული საჯარო განხილვის შეხვედრების დროს ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებიდან. ამ შეხვედრებს ესწრებოდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მცხოვრებნი. პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებებიდან მიღებული შენიშვნები ეხებოდა რამდენიმე საერთო თემას, რომლებიც დაჯგუფდა ერთი საკითხის ქვეშ და შესაბამისად, გაეცა საერთო ფორმატის პასუხი.

ESIA ანგარიშის პროექტზე გამოთქმულ შენიშვნებთან მიმართებაში, რომლებიც ეხებოდა კონკრეტულ თავებსა და ცხრილებს, გასათვალისწინებელია, რომ საბოლოო ვერსიის ნუმერაცია შეიძლება განსხვავებული იყოს. ზემოაღნიშნული იმითაა გამოწვეული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში შენიშვნები და პასუხები განიხილავს ანგარიშის პროექტის კონკრეტულ ცხრილს, რომელიც განახლებული სახითაა მოცემული ანგარიშის საბოლოო ვერსიაში. სიზუსტისათვის, შენიშვნები შენარჩუნდა იმ ფორმით, როგორც მიღებული იყო, ხოლო პასუხი განიხილავს მოცემულ კონკრეტულ შენიშვნას. ცხრილი 4-1-ის სვეტში - „ESIA ანგარიშის შესაბამისი თავი“ მითითებულია საბოლოო ანგარიშის შესაბამისი თავი და ცხრილის ნომერი.

## 4.1 გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროდან მიღებული შენიშვნები

ცხრილი 4-1: ESIA-ს ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით მიღებული შენიშვნები და პასუხები - გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ წარმოდგენილი GIS კოორდინატების მიხედვით, მითითებული 546,452მ <sup>2</sup> ფართობიდან „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს #299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით 6,265 მ <sup>2</sup> ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტყის ფონდში. ამიტომ, აღნიშნულ ტერიტორიაზე საქმიანობის განხორციელება საჭიროებს ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანოსთან შეთანხმებას.	1	ინფორმაცია გათვალისწინებულია. სატყეო ფონდის მიწის ფართობი დამატებულია ESIA-ს ანგარიშში.	7.7.4
თავი 3, გვ. 22 - წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედებას ადგილი ექნება ჩამდინარე წყლის ჩაშვების, მათ გადაკვეთებზე სამშენებლო სამუშაოების წარმოების და შემთხვევითი მოვლენების დროს. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშში, დაზუსტებული უნდა იყოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლების ჩაშვების საკითხები და წარმოდგენილი იყოს „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი“ ჩაშვების წერტილების მითითებით.	2	თუმცა ჩამდინარე წყლის ჩაშვებები წარმოდგენილია მე-3 თავში (მეთოდოლოგია), როგორც ზემოქმედების პოტენციური წყარო, ასეთი ჩაშვებები WREP-SR პროექტის ფარგლებში დაგეგმილი არ არის. შესაბამისად, მითითება საყოფაცხოვრებო წყლების ჩაშვების შესახებ ამოღებულია მე-3 თავიდან.  მე-10 თავში დამატებულია შენიშვნა იმის შესახებ, რომ ჰიდროტესტირების წყლის გარდა, უწყვეტი ჩაშვება დაგეგმილი არ არის.	3.9.6 10.5.3

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
ვინაიდან წყალაღებაზე და წყალჩაშვებაზე ნებართვები აღარ გაიცემა, პროექტის განსახორციელებლად საჭირო წყლის აღების საკითხები დეტალურად უნდა იყოს მოცემული ანგარიშში, წყლის აღების წერტილების მითითებით და აღებული წყლის რაოდენობა მოცემული უნდა იყოს თვეების მიხედვით. ამასთანავე, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ჰიდროტესტირების გეგმა.	3	ჰიდროტესტირების საჭირო წყალაღების ადგილები და წყლის მოცულობები არ არის ცნობილი EPC კონტრაქტორის შერჩევამდე. კონტრაქტორი მოამზადებს ჰიდროტესტირების მართვის გეგმას, რომელიც წარმოდგენილი იქნება დასამტკიცებლად, მისი მომზადებასთანავე (ჰიდროტესტირების დაწყებამდე). ჰიდროტესტირების მართვის გეგმის შემოთავაზებული შინაარსის აღწერა დამატებულია 10.5.4 ქვეთავში.	10.5.4
თავი 4 – აღნიშნულ თავში მილსადენის მარშრუტის ცვლილების ალტერნატიული ვარიანტები მოცემულია მხოლოდ RR-001 მონაკვეთისთვის. ამავე თავში განხილული უნდა იყოს RP-001a, RR-004a და მდინარე სუფსის ორივე გადაკვეთის ალტერნატიული ვარიანტები შესაბამისი სქემებით. ასევე, მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია შერჩეულ მარშრუტებზე გადასაკვეთი ობიექტების შესახებ.	4	RP-001a და RR-004a მონაკვეთებისთვის სხვა გონივრული ალტერნატივები არ არსებობდა ამ მონაკვეთების სიმოკლისა და არსებული მეწყერების განლაგების გამო. მე-4 თავში დამატებული იქნა განმარტებითი ტექსტი და რუკები; ასევე დამატებული იქნა განმარტება სუფსის საექსპორტო მილსადენის განლაგების შეცვლის შესახებ.	მე-4 თავი
თავი 4, გვ. 10 – RR-001 მონაკვეთის განსათავსებლად ანგარიშში განხილული ალტერნატიული ვარიანტიდან უპირატესობა მიენიჭა B ალტერნატივას. აღნიშნული ალტერნატივის მიხედვით, მილსადენი გადაკვეთს მესამე მხარის რამდენიმე მომსახურებას, წყლის და გაზის მილსადენების ჩათვლით, რომლებიც რუკაზე დატანილი იქნება მშენებლობის დაწყებამდე. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშში დეტალურად უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია გადასაკვეთი ობიექტების შესახებ. გარდა ამისა, დოკუმენტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე უნდა მოხდეს შეთანხმება აღნიშნული ობიექტების მეპატრონეებთან.	5	5.2.4 ქვეთავს (მილსადენის კვეთები) დაემატა კვეთების ამომწურავი გეგმა (ცხრილი 5-2). დამატებული იქნა განმარტება იმის შესახებ, რომ მესამე მხარის თანხმობა ჩართული იქნება მშენებლობის ნებართვის განაცხადში.	5.2.4

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ზუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
თავი 4, გვ. 11 – ანგარიშში RR-001 მონაკვეთისთვის მოცემულია, რომ A და B ალტერნატიული ვარიანტი ფაქტიურად ერთიდაიგივე სიგრძისა, თუმცა ამავე თავის გვ.9-ზე მოცემული სქემის მიხედვით, A ალტერნატიული ვარიანტის მარშრუტი შედარებით გრძელია ვიდრე B ალტერნატიული ვარიანტი. შესაბამისად აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.	6	ტექსტი შეცვლილია შეცდომის გასწორების მიზნით.	მე- 4 თავი
თავი 4, გვ. 12 – ანგარიშის მიხედვით, მილსადენის შესაცვლელი მონაკვეთების ნავთობისგან დაცლა იგეგმება როგორც სექციური ისე უწყვეტი გადანაცვლების მეთოდით. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ დოკუმენტში დეტალურად უნდა იყოს განხილული მოლსადენების ნავთობისგან დაცლის ოპერაციები ყველა მოსალოდნელი რისკის შეფასებით.	7	4.5.1 ქვეთავს დაემატა ტექსტი, რომელიც განმარტავს, რომ ნავთობისგან დაცლის სექციური მეთოდი უპირატესია და რომ პროცესის უფრო სრული აღწერა მოცემულია 5.5 ქვეთავში.	4.5.1 5.5
თავი 4, გვ. 21 – ანგარიშის მიხედვით მილსადენის შეცვლილი მონაკვეთები დარჩება in situ, დაიყოფა მონაკვეთებად და შეივსება ჰაერით. აქვე მოცემული უნდა იყოს როგორ მოხდება გაუქმებული მილის დაყოფა მონაკვეთებად.	8	შეუსაბამოა ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის. 4.5.2 ქვეთავში დამატებულია მითითება 5.5.5 ქვეთავზე, სადაც ახსნილია სექციური მეთოდი. 5.5.5 ქვეთავში უკეთესადაა განმარტებული, რომ მონაკვეთები დარჩება ადგილზე და შეივსება ჰაერით, გარდა გზების და მდინარეების კვეთებისა.	4.5.2 5.5.5
თავი 4, გვ. 21 – ანგარიშის მიხედვით, მდინარე ლიახვის კვეთაზე არსებული მილსადენი, რომელიც სექციის შეცვლის შემდეგ გამოვა ექსპლუატაციიდან, ამოითხრება და უსაფრთხოდ განთავსდება. ანგარიშში მოცემული უნდა იყოს აღნიშნული სამუშაოს შესრულების დეტალური გეგმა, ასევე უნდა შეფასდეს სამუშაოს შესრულებისას მდინარეზე მოსალოდნელი ზემოქმედება და შემუშავდეს შემარბილებელი ღონისძიებები.	9	ეს შეცდომა დაშვებული იყო ანგარიშის ქართულ ვერსიაში. შეუსაბამოა ინგლისურ და ქართულ ტექსტს შორის გასწორდა.	მე- 4 თავი

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
ანგარიშში მოცემული უნდა იყოს მილსადენის ყველა შესაცვლელი უბნის სქემა, RR-001-ის მსგავსად.	10	4.4 ქვეთავს დაემატა ტექსტი და რუკები, რომლებიც მოიცავს განმარტებას იმის შესახებ, რომ RP-001a და RR-004a მონაკვეთების ალტერნატივები არ არის წარმოდგენილი ამ მონაკვეთების სიმოკლის და მეწყერების სიახლოვის გამო. დამატებულია სუფსის საექსპორტო მილსადენის გადაკვეთის ალტერნატიული ნახაზი და განმარტებულია თუ რატომ შეიცვალა განლაგება.	4.4
თავი 5, გვ. 5 – ცხრილ 5-2-ში მოცემულია გადაკვეთების გეგმა, მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის როდესაც გადაკვეთის სიგანე 10მ-ზე მეტია. ამავე ცხრილში მოცემული უნდა იყოს ის გადაკვეთებიც, რომელთა სიგანე 10მ-ზე ნაკლებია, ანუ ყველა შესაძლო გადაკვეთა, მათ შორის მდინარეები, ხეხევი, სარწყავი არხები და რკინიგზის ხაზები. ასევე დასაზუსტებელია ამ ცხრილში მოცემული ინფორმაცია 10მ-ზე მეტი სიგანის გადასაკვეთი ბილიკების შესახებ. კერძოდ, ხომ არ არის საუბარი შინაური ცხოველების გადასარეკ ბილიკებზე.	11	5.2.4 ქვეთავს (მილსადენის კვეთები) დაემატა გადაკვეთების ამომწურავი გეგმა. დამატებულია შენიშვნა, რომელიც განმარტავს, რომ პირუტყვის/ცხვრების გადასარეკი მარშრუტები დგინდება მიწაზე უფლებების მიღების პროცესში; მიღებული მონაცემები, შესაბამისი მხარეების თანხმობასთან ერთად ჩართული იქნება სამშენებლო ნებართვის განაცხადში.	5.2.4
თავი 5, გვ. 9 – ანგარიშის მიხედვით საპროექტო მილსადენები გარკვეულ მონაკვეთში უახლოვდება სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მილსადენებს და მათ შორის მინიმალური მანძილი იქნება 10მ. აქვე მოცემული უნდა იყოს ის ნორმატიული დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც მილსადენებს შორის მითითებული მანძილი ჩაითვლება ოპტიმალურად.	12	დამატებულია განმარტება დაშორების მანძილის შესახებ, რომელიც ეფუძნება დოკუმენტს L51861 - მილსადენის გახეთქვა და დაშორება პარალელურ მილსადენებს შორის, რომელიც მომზადდა მილსადენების კვლევის საერთაშორისო საბჭოს მიერ (2002). დოკუმენტი დამატებულია მე-15 თავში.	5.3.6 15

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
<p>თავი 5, გვ. 21-22 – ანგარიშში მოცემულია, რომ გადასაკვეთი მდინარეების შესწავლა მოხდება პროექტის საბოლოო დამტკიცებამდე. დოკუმენტის ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარდგენამდე მდინარეების ყველა გადაკვეთისთვის, საანგარიშო კვეთებში უნდა განისაზღვროს საანგარიშო ხარჯების (200 წლიანი განმეორებადობის) სიდიდეები, წყლის დონეები და კალაპოტის გარეცხვის სავარაუდო სიღრმეები, რათა სწორად დაიგეგმოს საინჟინრო-სამშენებლო და გარემოსდაცვითი ღონისძიებები. ზემოაღნიშნული კვლევები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. ზემოაღნიშნული კვლევები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები მოცემული უნდა იყოს ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშში.</p>	13	<p>5.4.13 ქვეთავში დამატებულია აბზაცი, რომელიც განმარტავს, რომ HDD განხორციელდება მდინარე სუფსის აქტიური ზონის ქვევით და ზევით. დამატებულია განმარტებითი ჩანართი, სადაც შეჯამებულია გეოტექნიკური ანგარიშები, რომლებიც გამოყენებული იყო HDD კვეთების საინჟინრო დაპროექტების დროს. შემოთავაზებული მილსადენის მონაკვეთებით გადაკვეთილი მდინარეების მახასიათებლები მოცემულია ცხრილ 7-5-ში.</p>	5.4.13
<p>ანგარიშში მოცემული უნდა იყოს ეროზიულ უბნებზე მილსადენის დასაცავად თუ რა კონკრეტული ღონისძიებებია გათვალისწინებული, მათ შორის კონკრეტული საინჟინრო გადაწყვეტილებები.</p>	14	<p>7.3.3 ქვეთავში დაემატა განმარტება იმის შესახებ, რომ მე-3 კლასის ეროზია მისაღებია, ხოლო 10.3.4 ქვეთავში დაემატა სქოლიო. ეროზიისგან დაცვის ღონისძიებები დეტალურად აღწერილია 10.3.4 ქვეთავსა და ცხრილ 10-3-ში.</p>	7.3.3 10.3.4
<p>თავი 7, გვ. 37 – ანგარიშში წყლის ხარისხი შეფასებულია 2009-2011 წელს ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით. აღნიშნული მონაცემები საჭიროებს განახლებას.</p>	15	<p>დაემატა განმარტება იმის შესახებ, რომ წყლის ხარისხის წინასამშენებლო მონიტორინგი დაიწყო 2016 წლის ივლისში; შედეგები მიეწოდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად.</p>	7.5.3
<p>თავი 7, გვ. 71-72 – ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშში მოცემული სათბურის გაზების ეროვნული ემისიები 1980-1997წწ და 1990-2006წწ პერიოდისთვის და შესაბამისობაში უნდა იყოს საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინების ანგარიშში მოცემულ ოფიციალურ ინფორმაციასთან. გარდა ამისა, დასაზუსტებელია ორგანიზაცია „გაეროს კლიმატის ცვლილების სექრეტარიატი 2012“ შესაბამისი წყაროს მითითებით.</p>	16	<p>ქვეთავი 7.8.3 შეიცვალა და მასში შეტანილი იქნა ინფორმაცია საქართველოს მესამე ეროვნული კომუნიკაციის ანგარიშიდან.</p>	7.8.3

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
თავი 7, გვ. 89 – ანგარიშის მიხედვით, საპროექტო მილსადენის RR-001 მონაკვეთის 1კმ და მისასვლელი გზების 100 მეტრიანი მონაკვეთი ხვდება მცხეთის ლანდშაფტის დაცვის ზონაში. აღნიშნული საკითხი საჭიროებს შესაბამის უწყებასთან შეთანხმებას.	17	ESIA-ს 7.10.8 ქვეთავს დაემატა მცხეთის კულტურულ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის კონსულტაციები NACHP-სა და UNESCO-სთან.	7.10.8 10.10
ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე ESIA-ს ანგარიშში დაზუსტებული უნდა იყოს ჭრას დაქვემდებარებული ხე-მცენარეთა ინდივიდების რაოდენობა, სახეობების მიხედვით.	18	7.7.4 ქვეთავს დაემატა ტექსტი, რომლითაც შეჯამებულია ხეების ინვენტარიზაციის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსთან შეხვედრის დეტალები. მოსაჭრელი ხეების ზუსტი რიცხვის განსაზღვრა შეუძლებელია, სანამ არ შეიჩევა სამშენებლო კონტრაქტორი და მოინიშნება მილსადენის ცენტრალური ხაზი.	7.7.4
ვინაიდან, წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით, პროექტის განხორციელება მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას მოახდენს მდინარე სუფსის იქთიოფაუნაზე, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშში ზემოქმედება განხილული უნდა იყოს კონკრეტული სახეობების მიხედვით და უნდა შემუშავდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.	19	ქვეთავს 7.7.5 დაემატა ინფორმაცია მდინარე სუფსაში თევზის მიგრირებადი სახეობების შესახებ, ხოლო ქვეთავს 10.7.3 - თევზის მიგრირებად სახეობებზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება.	მე-7 თავი
ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშს თან უნდა ახლდეს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #424 დადგენილების შესაბამისად მომზადებული რეკულტივაციის გეგმა/პროექტი.	20	დაემატა მითითება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის #424 დადგენილებაზე და განმარტება იმის შესახებ რომ აღდგენის მართვის გეგმა მომზადდება კონტრაქტორის მიერ.	5.7.1

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
<p>ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშში მილსადენის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენები კლასიფიცირებული უნდა იყოს „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს #426 დადგენილებით დამტკიცებული წესის მიხედვით. აღნიშნული წესის თანახმად, ნარჩენების დასახელება უნდა შეესაბამებოდეს ამავე წესით განსაზღვრული ნარჩენის კონკრეტულ კოდებს და ასევე ნარჩენების სახიფათოობის დადგენის მიზნით გათვალისწინებული იქნას ნარჩენების მართვის კოდექსის III დანართით განსაზღვრული მახასიათებლები. წარმოქმნილი ნარჩენების ადგილზე დამუშავების შემთხვევაში ESIA-ს ანგარიშში ნარჩენების დამუშავებისთვის გამოყენებული ოპერაციები მოცემული უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსის I და II დანართებით განსაზღვრული კოდების მიხედვით.</p>	21	<p>5.8.6 ქვეთავს დაემატა განმარტება, რომ კონტრაქტორის ნარჩენების მართვის გეგმაში ნარჩენები კლასიფიცირებული იქნება ნარჩენების მართვის კოდექსის და ახალი დადგენილების მიხედვით.</p> <p>ნავთობისგან დაცლის და გაწმენდის დროს არ იქნება გამოყენებული წყალი, შესაბამისად ნავთობიანი წყალი არ წარმოიქმნება.</p> <p>ნარჩენების in situ გადამუშავება ან განთავსება არ არის მოსალოდნელი. ნარჩენები გადატანილი იქნება ნარჩენების მართვის ლიცენზირებულ ობიექტებში.</p> <p>ცხრილ 6-3-ში (ქვეთავი 6.3.4) დამატებული იქნა „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის #426 დადგენილება.</p>	5.8.6 6.3.4
<p>გაცნობებთ, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის მე-14 მუხლის, I ნაწილის თანახმად ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლის საქმიანობის შედეგად წლის განმავლობაში 200 ტონაზე მეტი არასახიფათო ნარჩენები ან 1000 ტონაზე მეტი ინერტული ნარჩენები ან ნებისმიერი რაოდენობით სახიფათო ნარჩენები წარმოიქმნება, ვალდებულია შეიმუშავოს კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმა, ამავე კოდექსითა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს #211 ბრძანებით დამტკიცებული „კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის დამტკიცების შესახებ“ ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.</p>	22	ინფორმაცია გათვალისწინებულია.	-



დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
<p>მშენებლობის პროცესში კონკრეტულად იქნას წარმოდგენილი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების გაფრქვევის წყაროები და მათ მიერ წარმოებული როგორც მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი (გ/წმ, ტ/წელი), ასევე გაბნევის (კონცენტრაციის წილებში) გაფრქვევების გაანგარიშებები (მაგალითად, გაფრქვევების გაანგარიშებები ძველი მილსადენებიდან ნავთობის დაცლისას, დროებით რეზერვუარებში შენახვისას და ახალი მილსადენების შევსებისას, გენერატორების ფუნქციონირებისას, საშემდგომლო სამუშაოების ჩატარებისას და სხვა შესაძლო წყაროებიდან), რომლებიც უნდა იყოს ასახული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისთვის წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშში და კანონმდებლობით დადგენილ მის თანმხლებ ჰაერდაცვით დოკუმენტაციაში.</p>	23	<p>მშენებლობით (ნავთობისგან დაცლის ჩათვლით) გამოწვეული ატმოსფერული ემისიები შეფასდა საერთაშორისო მოწინავე პრაქტიკის სახელმძღვანელოების (ემისიების შეფასების ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული მეთოდოლოგიის ჩათვლით) შესაბამისად; შეფასება წარმოდგენილია ცხრილ 5-9-ში. ანგარიშში მოცემული ემისიები მოიცავს იმ ძირითად ჰაერის დამაბინძურებლებს, რომლებიც საზიანო ადამიანის ჯანმრთელობისთვის, ეკოსისტემებისთვის და მცენარეულობისთვის და ასევე წვლილი შეაქვს გლობალური დათბობის პროცესში; შეფასებები რაოდენობრივი სახითაა მოცემული, ერთეულში - ტონა წელიწადში (1 ტონა/წ = 0.03 გ/წმ).</p> <p>ნავთობისგან დაცლის დროს წარმოქმნილი უკონტროლო ემისიების გამოთვლები გაკეთდა US EPA TANKS პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით და დამატებულია 5.8.6 ქვეთავში.</p> <p>ატმოსფერული ემისიების გამოთვლა შესაძლებელია გონივრული სიზუსტით, თუმცა ჰაერის ხარისხზე დიფუზიით, გაზავებით და დისპერსიით გამოწვეული ზემოქმედებების ზუსტად შეფასება საპროგნოზო მოდელების გამოყენებით შეუძლებელია სამშენებლო სამუშაოების სპორადული ხასიათის გამო. საუკეთესო პრაქტიკაა ემისიების კონტოლი წყაროსთან შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელებით (იხ. ESIA-ს ქვეთავი 10.8.4).</p>	5.8.6
<p>ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტები იმ სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, რომელთა კომპეტენციის სფეროსაც განეკუთვნება გადაწყვეტილების მიღება საქმიანობის პროექტირების სხვადასხვა სტადიის განხორციელებასთან დაკავშირებით ცალკეულ ასპექტებზე.</p>	24	<p>გათვალისწინებულია.</p>	-

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
<p>დამატებით გაცნობებთ, რომ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ESIA-ს ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შედეგების განხილვის მასალები. საზოგადოების წარმომადგენელთა შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია უზურნველყოფის შენიშვნებისა და მოსაზრებების გაუთვალისწინებლობის წერილობითი დასაბუთება და ESIA-ს ანგარიშთან ერთად წარმოდგენა.</p> <p>თქვენს მიერ ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში უნდა მოიცავდეს და თან უნდა ერთვოდეს „გარემოზე ზემოქმედების შეფასების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 14 მაისის #31 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.</p> <p>„გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის მეორე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიღების მიზნით განსახილველად უნდა წარმოადგინოთ ტექნიკური რეზიუმე (დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო გადაწყვეტილება) და არატექნიკური რეზიუმე, გრაფიკული და სხვა საილუსტრაციო მასალის თანდართვით.</p> <p>რაც შეეხება ეკოლოგიური დასკვნის მიღებას, გაცნობებთ, რომ „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4-ე მუხლის მე-4-ე პუნქტის შესაბამისად, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე გასცემს ეკოლოგიური</p>	25	<p>საჯარო განხილვის რეზიუმე, შენიშვნების ნუსხა და ცვლილებები წარმოდგენილია ESIA-ს საბოლოო ანგარიშში.</p> <p>განახლდა ტექნიკური რეზიუმე და NTS.</p>	<p>მე-9 თავი                      დანართი C2                      დანართი C3</p> <p>ტექნიკური რეზიუმე                      NTS</p>

დასავლეთის მიმართულების საექსპორტო მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი, საქართველო  
 ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება  
 საბოლოო ანგარიში

შენიშვნა	ID	პასუხი	ESIA-ს თავის ნომერი
<p>ექსპერტიზის დასკვნას. შესაბამისად, განაცხადი კანონით დადგენილ დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილი უნდა იქნას მშენებლობის ნებართვის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, რათა მშენებლობის ნებართვის გამცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის გაცემის მიზნით დაწყებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ჩართვა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს სახით „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.</p>			

## 4.2 პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მოსახლეობის მიერ გამოთქმული შენიშვნები, ჩვეულებრივ, ეხებოდა რამდენიმე საერთო თემას, რომელიც გაერთიანდა შესაბამის ცალკეულ საკითხად, ქვემოთ მოყვანილი საერთო ფორმატის გამოყენებით (იხ. სურათი 4-1).

საკითხის რეზიუმე: [საკითხის სახელწოდება]

<p><b>საკითხის აღწერა</b></p> <p>[აღნიშნულ საკითხზე მიღებული გამოხმაურების კონსოლიდირებული რეზიუმე]</p>
<p><b>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</b></p> <p>[შენიშვნების უნიკალური ნომრების ჩამონათვალი, რომლებიც განხილულია წინამდებარე საკითხის რეზიუმეში. ეს ჩამონათვალი, დანართ 1-თან ერთად, დაინტერესებულ პირებს უადვილებს კონკრეტულ შენიშვნებზე გაცემული პასუხების მოძიებას]</p>
<p><b>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</b></p> <p>[საჭიროებისამებრ, მითითებულია ESIA ანგარიშის შესაბამისი თავები, ვალდებულებების ნომრების ჩათვლით, სადაც განხილულია მოცემული საკითხი ან რომელიც შესწორდა მოცემული საკითხის გათვალისწინების საფუძველზე]</p>

### სურათი 4-1: საკითხზე გაცემული პასუხის რეზიუმეს ფორმატი

ქვეთავებში 4.2.1 - 4.2.8 მოცემულია ყველა წამოჭრილი საკითხის რეზიუმეები; შენიშვნების სრული ნუსხა მოყვანილია დანართ 1-ში.

#### 4.2.1 საკითხის რეზიუმე: ეკოლოგიური ზემოქმედებები

<p><b>საკითხის აღწერა</b></p> <p>საჯარო შეხვედრის დამსწრეებმა დასვეს სხვადასხვა კითხვები, რომლებიც ეხებოდა პროექტის აღწერას და ტექნიკურ საკითხებს. ეს კითხვები მოცავდა შემდეგ საკითხებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>რა ქმედებები განხორციელდება მილსადენის გაუქმებულ მონაკვეთებთან დაკავშირებით</li> <li>როგორ მოხდა შეცვლილი მარშრუტების შერჩევა</li> <li>როდის დაიწყება მშენებლობა</li> <li>რა მოხდება მილსადენის დაზიანების შემთხვევაში.</li> </ul>
<p><b>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</b></p> <p>26, 27, 28, 34, 36, 39, 58, 70, 71, 82</p>
<p><b>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მილსადენის გაუქმებული მონაკვეთები: მილსადენის გაუქმებული მონაკვეთები გაიწმინდება და დარჩება მიწაში. GOGC, როგორც მილსადენის მფლობელი, პასუხისმგებელი იქნება თუ რა ქმედებები განხორციელდება გაუქმებულ მონაკვეთებთან დაკავშირებით მომავალში.</li> </ul>

- მარშრუტის და უბნის შერჩევა: პროექტის მიზანია გვერდი აუაროს ადგილებს, სადაც გრუნტი არასტაბილურია, ააშენოს უფრო მყარი მდინარის კვეთები და უზრუნველყოს მილსადენის უსაფრთხო ექსპლუატაცია. მილსადენის მონაკვეთები, რომლებიც განლაგებულია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მიმდინარე სამუშაოს მოცულობაში არ შედის. იმ მონაკვეთის მონიტორინგი, რომელიც მდებარეობს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ხდება მილსადენის შიდა ინსპექტირების მოწყობილობების საშუალებით. WREP-SRP მონაკვეთები არ კვეთს უშუალოდ სოფლებს. დასახლებები, რომლებიც მდებარეობს შეცვლილი მარშრუტებიდან 2კმ მანძილზე ნაჩვენებია ESIA-ს დანართ A-ში.
- მშენებლობის განრიგი: სამუშაოების დაწყება იგეგმება 2016 წლის ბოლოს.
- მიმდინარეობს მილსადენის მუდმივი მონიტორინგი და მილსადენის ტექნომსახურების სამუშაოები ხორციელდება საჭიროებისამებრ, რათა თავიდან იქნას აცილებული მილსადენის დაზიანება.

#### 4.2.2 საკითხის რეზიუმე: მიწის რეგისტრაცია და კომპენსაცია

##### საკითხის აღწერა:

შეკითხვების რიგი ეხებოდა მიწაზე კომპენსაციის მიღებას; დაისვა კონკრეტული შეკითხვები მიწის რეგისტრაციის, კომპენსაციის თანხის გაანგარიშების და უთანხმოებების გადაჭრის გზების შესახებ.

##### საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:

31, 37, 38, 44, 57, 62, 72, 85, 86

##### შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:

პროექტის მიწის შეძენისა და კომპენსაციის პროცესი დოკუმენტირებულია. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და მოსავლის ღირებულება ემყარება საბაზრო ღირებულებას, რომელიც დადგენილია სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე WREP-SR-ის საპროექტო ტერიტორიებზე; ფასები გადახდილი იქნა GOGC-ს მიერ. კომპენსაციის ოდენობა დეტალურადაა განმარტებული მიწათმფლობელებისთვის სერვიტუტის ან იჯარის ხელშეკრულებებში.

პროექტი მიიღებს მიწის სერვიტუტის შეთანხმებას რეგისტრირებული მიწის მესაკუთრისაგან; რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი შეიძლება იყოს კერძო ან სახელმწიფო. პროექტი იმუშავებს მიწის მესაკუთრებთან მის ზეგავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიებზე მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის ხელშეწყობის მიზნით. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის რეგისტრირებული მეიჯარეები მიიღებენ კომპენსაციას მხოლოდ მოსავლის დაკარგვისთვის. არაფორმალური (არარეგისტრირებული) მოსარგებლეებისთვის კომპენსაციის გადახდა მოხდება თითოეული შემთხვევის განხილვის საფუძველზე (განხილვაში ჩართული იქნებიან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები).

საჩივრების წარდგენა / მიღების პროცედურის საშუალებით მოხდება საჩივრის მოგვარებას, პირველ რიგში, მომჩივანთან შეთანხმების გზით და არა სასამართლო სისტემის საშუალებით. საჩივრების წარდგენა / მიღების პროცედურის გამოყენება ნებაყოფლობითია მომჩივანებისათვის და არ ზღუდავს მათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ უფლებებს, მათ შორის - ნებისმიერ ეტაპზე სასამართლოში მიმართვის უფლებას.

#### 4.2.3 საკითხის რეზიუმე: მიწათსარგებლობა და განვითარება

<p><b>საკითხის აღწერა:</b></p> <p>რიგი შეკითხვების ეხებოდა მიწათსარგებლობასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს (მშენებლობის და სოფლის მეურნეობის ჩათვლით) მილსადენის გაუქმებული მონაკვეთების სიახლოვეს და ახალი მილსადენის დერეფანში.</p>
<p><b>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</b></p> <p>32, 50, 59, 63, 64, 66, 67, 68</p>
<p><b>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</b></p> <p>მილსადენის დაზიანებისგან დასაცავად მილსადენის მარშრუტთან დაკავშირებული გარკვეული შეზღუდვები. მაგალითად, დარგები როგორც წესი არ არის დაშვებული, გარდა მცირე ზომის ხე-მცენარეებისა. სუფსის კვეთებზე შეზღუდულია მთელი რიგი საქმიანობები. შეზღუდვები საჭიროა საქართველოს პრეზიდენტის 2009 წლის (შეცვლილია 2013 წელს) სახელმწიფო ტერიტორიის ზონირების შესახებ ბრძანებულების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მომსახურებიდან ამოღების პროცესის დასრულების შემდეგ, GOGC-სთან ერთად მიღებული იქნება გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რა შეზღუდვები უნდა დარჩეს მილსადენის გაუქმებულ მონაკვეთებთან დაკავშირებით. სამშენებლო ტერიტორიის საბოლოო განლაგება შეთანხმდება GOGC მილსადენის მდებარეობის გათვალისწინებით. ნებისმიერი შემდგომი სამშენებლო პროექტი განხილული იქნება ინდივიდუალურად. სამშენებლო ნებართვები დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რისი მშენებლობა იგეგმება ტერიტორიაზე, რომელზეც მოქმედებს შეზღუდვები.</p>

#### 4.2.4 საკითხის რეზიუმე: დასაქმება

<p><b>საკითხის აღწერა:</b></p> <p>პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი მოსახლეობიდან მიღებული ბევრი შენიშვნა ეხებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს. შემოთავაზებული WREP- SR მონაკვეთების მიდამოებში მდებარე დასახლებებში უმუშევრობის დონე მაღალია; შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნაა WREP- SR პროექტში დასაქმების შესაძლებლობების ხელმისაწვდომობა.</p>
<p><b>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</b></p> <p>33, 43, 74, 78, 79, 81</p>
<p><b>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</b></p> <p>პროექტმა გამოავლინა პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები; აღნიშნული დასახლებული პუნქტები აღწერილია ESIA ანგარიშის თავ 9.4.2-ში. ეს ის დასახლებებია, რომლებიც მდებარეობს მილსადენის ცენტრალური ხაზიდან 2კმ მანძილზე, მილსადენის ორივე მხარეს, რაც ქმნის 4კმ სიგანის ზონას.</p> <p>ESIA ანგარიშში აღებული რამდენიმე ვალდებულება ეხება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ინფორმაცია BP-ს ადგილობრივი დასაქმების სტრატეგიის შესახებ გავრცელდება საჯაროდ, მედია შეტყობინებების ჩათვლით, როგორც რეგიონალურ ისე ეროვნულ დონეზე (28-01)</li> <li>• არაკვალიფიციური მუშახელის დაქირავების დროს უპირატესობა მიენიჭება პროექტის</li> </ul>

<p>ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებების მოსახლეობას (28-02)</p> <ul style="list-style-type: none"><li>სამუშაოზე მისაღებად შევსებული განაცხადები განიხილება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარდგენა მოხდება განაცხადების შევსების ოფიციალური პროცედურების მიხედვით (28-03).</li></ul> <p>ხელმისაწვდომი დასაქმების უდიდესი ნაწილი დროებითი იქნება; დასაქმების პერიოდი უმეტესწილად პროექტის მშენებლობის ეტაპით შემოიფარგლება.</p>
--

#### 4.2.5 საკითხის რეზიუმე: ინფრასტრუქტურა და მომსახურებები

<p><b>საკითხის აღწერა:</b></p> <p>რიგი შეკითხვების ეხებოდა იმას, თუ როგორ მოხდება გზებზე სამშენებლო ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეული ზემოქმედებების მართვა.</p>
<p><b>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</b></p> <p>55, 56, 60, 61, 59</p>
<p><b>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</b></p> <p>პროექტს ნაკისრი აქვს რამდენიმე ვალდებულება, რომლებიც ეხება მისასვლელ გზებზე სამშენებლო ტრანსპორტის მოძრაობით გამოწვეულ პოტენციურ ზემოქმედებებს:</p> <ul style="list-style-type: none"><li>მშენებლობის დაწყებამდე მისასვლელი გზების, შესანახი უბნების, რკინიგზის გადმოსატვირთი უბნის და მილსადენის გასხვისების დერეფნის გასწვრივ ყოველი განსაკუთრებული ობიექტის მდგომარეობის აღსაწერად ჩატარდება წინა-სამშენებლო კვლევა აღდგენის სამუშაოებისთვის ინფორმაციის შესაკრებად (17-14)</li><li>კონტრაქტორმა უნდა გამოიყენოს წინასწარ განსაზღვრული მისასვლელი გზები. პროექტის სამუშაო უბნებთან მისასვლელი გზების შემდგომი შერჩევასა მოხდება სენსიტიური რეცეპტორების გვერდის ავლა და მისასვლელი გზის შერჩევაზე საჭირო იქნება კომპანიის დასტური (30-22)</li><li>მშენებლობის შემდეგ კონტრაქტორი შეაკეთებს გზებს სულ მცირე წინასამშენებლო მდგომარეობამდე. განახლებულ გზებთან დაკავშირებით, კონტრაქტორი კომპანიას დასამტკიცებლად წარუდგენს საბოლოო ანგარიშს (37-07).</li></ul>

#### 4.2.6 საკითხის რეზიუმე: დასახლებაში ინვესტიცია

<p><b>საკითხის აღწერა:</b></p> <p>PAC-ების წარმომადგენლები დაინტერესდნენ გაუწევს თუ არა პროექტი ფინანსურ დახმარებას ადგილობრივ პროექტებს, როგორცაა ადგილობრივი გზების მონაკვეთების აღდგენა და საბავშვო ბაღის მშენებლობა.</p>
<p><b>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</b></p> <p>29, 30, 35, 40</p>
<p><b>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</b></p> <p>WREP-ის ფარგლებში ხორციელდება დასახლებების განვითარების პროგრამა, რომელიც მხარს უჭერს დამწყებ ბიზნესებს. პროექტის ფარგლებში შეკეთდება მხოლოდ მისასვლელი გზები.</p>

#### 4.2.7 საკითხის რეზიუმე: დასახლების უსაფრთხოება

<b>საკითხის აღწერა:</b> საჯარო შეხვედრის ერთმ დამსწრემ დასვა შეკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ იქნება მონიშნული მილსადენი.
<b>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</b> 65
<b>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</b> შეხვედრის დროს განმარტებული იქნა, რომ მილსადენის გასწვრივ ყოველ კილომეტრზე და იმ ადგილებში სადაც მილსადენი იცვლის მიმართულებას დამონტაჟდება საჭირო მარკერები; ასე რომ მიწის ქვეშ მილსადენის არსებობა იქნება ცალსახად ცხადი.

#### 4.2.8 საკითხის რეზიუმე: SCPX-ის მშენებლობა და სუფსის ტერმინალის ექსპლუატაცია

<b>საკითხის აღწერა:</b> რამდენიმე გამოთქმული შენიშვნა პირდაპირ არ ეხებოდა WREP-SR პროექტს; ეს შენიშვნები უკავშირდებოდა SCPX მილსადენის მშენებლობას და საჩივრებს სუფსის ტერმინალის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით.
<b>საკითხი ეფუძნება შემდეგ შენიშვნებს:</b> 41, 42, 45, 46, 47, 48, 49, 51, 52, 53, 54, 75, 76, 77, 80, 83, 84
<b>შენიშვნის განხილვის / გათვალისწინების გზა:</b> დაინტერესებულ პირებს განემარტათ, რომ რადგან საჯარო შეხვედრის მიზანი იყო WREP-SR პროექტის განხილვა, მათი შენიშვნები SCPX პროექტსა და არსებული მილსადენების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით უნდა წარდგენილი იქნას საჩივრების წარდგენის არსებული მექანიზმის გამოყენებით. სუფსის ტერმინალთან დაკავშირებით ნებისმიერი საჩივრის აღსამრავად დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ ადგილობრივ საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერს, რომელიც ესწრებოდა შეხვედრას ლანჩხუთში.



# დანართი 1: PAC-ებიდან მიღებული შენიშვნების ნუსხა

ცხრილი 4-2: ESIA-ს ანგარიშის პროექტთან დაკავშირებით მიღებული  
შენიშვნები – პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლებები

შენიშვნა	ID	PAC <sup>1</sup>	რაიონი/ქალაქი
ზოგადად რას უკავშირდება მილსადენის მარშრუტის ცვლილება?	26	n/a	საჩხერე
მილსადენის გარკვეული მონაკვეთი მდებარეობს ოკუპირებულ ტერიტორიაზე; მოხდება ამ მონაკვეთის გადმოტანა ჩვენ ტერიტორიაზე? მიმდინარეობს თქვენი მხრიდან მილსადენის ამ მონაკვეთების მონიტორინგი?	27	n/a	საჩხერე
მილსადენის სექციური ცვლილებების პროექტი ზეგავლენას მოახდენს ჩვენ რაიონზე?	28	n/a	საჩხერე
პროექტისგან მივიღებთ რაიმე სარგებელს?	29	კორბოული	საჩხერე
სოფელ კორბოულში დაზიანებულია გზები. გთხოვთ, დაგვეხმაროთ ამ გზების აღდგენაში; ჩვენ გვაქვს შესაბამისი ტექნიკა, თუმცა საწვავს მაინც თუ მოგვაცვდით, ეს მნიშვნელოვნად დაგვეხმარება.	30	კორბოული	საჩხერე
ადგილობრივი მოსახლეობა პასუხისმგებელია საჯარო რეესტრში იმ მიწის რეგისტრაციაზე, რომელზეც გაივლის მილსადენის ახალი მონაკვეთები (როგორც ადრე აღნიშნეთ ძველი მილსადენიდან 100 მეტრ მანძილზე)?	31	სვერი	ჭიათურა
შეგიძლიათ, რომ მოგვაწოდოთ რუკები? ზუსტად სად მდებარეობს მილსადენის ახალი მონაკვეთები? გვინდა ზუსტად ვიცოდეთ სად მდებარეობს ახალი მილსადენი, რომ თავიდან ავიცილოთ პრობლემები და ეს ინფორმაცია მივწოდოთ ადგილობრივ მოსახლეობას. რამდენადაც მიწის მესაკუთრეთა დიდი ნაწილი ასაკოვანი ადამიანები არიან, რომლებსაც არ შეუძლიათ მიწის დამუშავება, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ მიწის რომელ ნაკვეთებზე მოახდენს ზემოქმედებას პროექტი. ქალბატონმა ახსენა, რომ პროცედურება ჩატარდება კანონის ფარგლებში, რაც გასაგებია.	32	მანდაეთი	ჭიათურა
ჩვენი უპირატესი ინტერესი ეხება ადგილობრივი მოსახლეობის და მუშახელის დასაქმებას და ასევე მიწასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევა. პრეზენტაციაში ნახსენები იყო 350 ადამიანი, რას ნიშნავს ეს?	33	მანდაეთი	ჭიათურა
გაუქმებულ მიწებს სარეზერვოდ ტოვებთ?	34	მანდაეთი	ჭიათურა
საპროექტო ტერიტორია (გზა) მოიხრემა 4 თვის წინ. თუმცა, მცირე, 1კმ სიგრძის მონაკვეთი (მანდაეთიდან) რჩება ცულ მდგომარეობაში (სვერი-დარკვეთის დამაკავშირებელი გზა).	35	სვერი	ჭიათურა

<sup>1</sup> N/A აღნიშნავს შემთხვევებს, როცა შენიშვნის ავტორი არ არის პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი დასახლების მცხოვრები ან წარმომადგენელი, არამედ წარმომადგენს უფრო ფართო არეალს; მაგ.: მუნიციპალიტეტის წარმომადგენელია ან იმ დასახლების მცხოვრები, რომელიც 2კმ-იანი დერეფნის გარეთ მდებარეობს.

შენიშვნა	ID	PAC <sup>1</sup>	რაიონი/ქალაქი
თუ გაუქმებული მილის გამოყენების შესახებ საკითხს აღძრავს მუნიციპალიტეტი, შესაძლებელი იქნება მილის გამოყენება?	36	n/a	ჭიათურა
რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ მიწის მესაკუთრე არ მიიღებს შემოთავაზებულ პირობებს/კომპენსაციას? რა მოხდება ასეთ შემთხვევაში?	37	n/a	ჭიათურა
შესაძლებელია ექსპერტიზის მიერ დადგენილი კომპენსაციის თანხების შეცვლა?	38	n/a	ჭიათურა
როდის დაიწყება მშენებლობა?	39	ზედა ბერეთისა	ჭიათურა
ერთ-ერთი მისასვლელი გზის გასწვრივ მდებარეობს საბავშვო ბაღი. დაწყებულია ამ ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თუმცა ფინანსური პრობლემების გამო სამუშაოები შეჩერებულია. წარსულში თქვენ ავინანსებდით სხვადასხვა პროექტებს და ჩვენ ახლაც გვახსოვს თქვენგან მიღებული სარგებელი. გთხოვთ, სოციალურ პროექტების ფარგლებში დაგვეხმაროთ ბაღის რეაბილიტაციაში.	40	ზედა ბერეთისა	ჭიათურა
გვანტერესებს, კონკრეტულად მიწის რომელ ნაკვეთებზე გაივლის მილსადენი. მილსადენის დერეფანი მნიშვნელოვნადაა დატბორილი. წლების მანძილზე დერეფანი გაფართოვდა და დაკარგა მისი თავდაპირველი ფორმა. გარდა ამისა, მიწა დაზიანებულია და ამ ტერიტორიაზე დაახლოებით 15-20 წელია არ მოდის მოსავალი. ამასთან, დასავლეთის ქარების გამო გრიგოლეთის და სუფსის მცხოვრებნი წუხდებიან ცუდი სუნით. შესაბამისად, მონიტორინგი უნდა ჩატარდეს მაშინ, როცა ქრის დასავლეთის ქარები და ვრცელდება აშკარა სუნი. „ტუმბო“ მუშაობდა გუშინ ღამეც და სუნი იყო აშკარად საგრძნობი. კომპანია ყოველთვის გვარწმუნებდა, რომ ხორციელდება ჰაერის მონიტორინგი და ყველაფერი მოწმდება, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა შეწუხებულია გარემოს დაზიანებით; ასევე ზიანდება მოსავალი. ასევე აღსანიშნავია ჰაერის დაზიანების მონიტორინგის დრო და საშუალებები. ეს საკითხები მე განვიხილე კომპანიის წარმომადგენელ ზურა მღვდლიაშვილთან, თუმცა მხოლოდ ეს საკმარისი არ არის. შესაბამისად, საჭიროა მუდმივი კომუნიკაცია ორ მხარეს შორის ამ საკითხთან დაკავშირებით.	41	სუფსა	ლანჩხუთი
მინდა აღვნიშნო, რომ სუფსა გამორჩეული ადგილია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის თვალსაზრისით (კერძოდ, ბოსნეული კულტურები). მაგალითად, სუფსის ზონაში მოყვანილი კიტრი და პამიდორი პოპულარულია მათი გემური თვისებების გამო. ახლა, მე ეჭვი არ შემაქვს სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ზემოქმედების ანგარიშების სისწორეში; გადავამოწმე და მოყვანილი კულტურების რაოდენობები ზუსტია, თუმცა ისინი დაბალი ხარისხისაა. გარდა ამისა, სუფსის ტერმინალის სიახლოვეს ილუპებიან მიგრირებადი ფრინველები და მათი შეგროვება ხდება პარკებით.	42	სუფსა	ლანჩხუთი
დასაქმების პერსპექტივებთან დაკავშირებით ვიმედოვნებთ, რომ სუფსის ტერმინალის სიახლოვეს არსებულ სოფლებში მცხოვრები 350 ადამიანიდან მინიმუმ 50 ადამიანი მაინც დასაქმდება პროექტში.	43	სუფსა	ლანჩხუთი

შენიშვნა	ID	PAC <sup>1</sup>	რაიონი/ქალაქი
მიწის რეგისტრაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით უნდა ითქვას რომ დასახლების ყველა მცხოვრები ვერ შეძლებს ამას ფინანსების არქონის გამო.	44	სუფსა	ლანჩხუთი
სპეციფიკური პრობლემის ხსენების დროს ზუსტად რას გულისხმობთ?	45	სუფსა	ლანჩხუთი
ჩვენთან შეხვედრა ჩატარდა 5 თებერვალს, სადაც დაისვა შეკითხვა ჩვენს რეგიონში ჩატარებული შესწავლის მოცულობის შესახებ. მოსახლეობა ითხოვდა ამ კვლევის ჩატარებას, თუმცა მას შემდეგ გავიდა 4 თვე. დღეს ჩვენ ისევ ვხვდებით ერთმანეთს და ისევ ვითხოვთ ამ კვლევის ჩატარებას, რაც მოგვცემს შესაძლებლობას გადავჭრათ ჩვენი პრობლემები, არ ჩავთვალოთ რომ BP უშვებს შეცდომებს და ამის გამო ვეძებთ გამოკვლევის სხვა წყაროები. ქალბატონმა ქეთიმ შემოგვთავაზა ანასეულის ლაბორატორიის ტესტების შედეგების გამოქვეყნება, რათა ჩვენს მიერ ჩატარებული ტესტების შედეგების შედარება ალტერნატიული ანალიზის შედეგებთან. ნებისმიერ შემთხვევაში თქვენი კონტრაქტორი მიკერძოებულად იფიქრებს, რომ თქვენ არ ხართ დამნაშავე. ამ 4 თვის მანძილზე აზრს მოკლებული შეხვედრების გამართვის ნაცვლად უმჯობესია თქვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგები გაგვაცნოთ.	46	სუფსა	ლანჩხუთი
თუ სწორად გავიგეთ თქვენ იღებთ სინჯებს და შემდეგ ამოწმებთ მათ ჰაერის მონიტორინგის ფარგლებში.	47	სუფსა	ლანჩხუთი
ჰაერის ხარისხის შემოწმება მოხდა უბანზე თუ სინჯები წაიღეთ ტესტირებისთვის? ტერმინალის სიახლოვეს ვერაფერს აღმოაჩინეთ; ზემოთხსენებული სუნი ვრცელდება ქარის მიმართულებით.	48	სუფსა	ლანჩხუთი
ჩვენთან შეხვედრა ჩატარდა 5 თებერვალს, სადაც დაისვა შეკითხვა ჩვენს რეგიონში ჩატარებული შესწავლის მოცულობის შესახებ. დღევანდელ შეხვედრაზე ისევ მინდა დაგისვით იგივე შეკითხვა, რომელზეც პასუხი არ მიგვიღია. ჩვენ გვინდა გავცნოთ თქვენს მიერ ჩატარებული სპეციფიკური მონიტორინგის შედეგებს, რომლებსაც გავაცნობთ ადგილობრივ მოსახლეობას.	49	სუფსა	ლანჩხუთი
არსებობს გარკვეული შეზღუდვები წყალქვეშა მილსადენის სიახლოვეს; არსებობს ამ შეზღუდვების შეცვლის რაიმე შესაძლებლობა? ტერმინალი არ გვაძლევს გარკვეული საქმიანობების განხორციელების შესაძლებლობას.	50	სუფსა	ლანჩხუთი
მოსახლეობის მთავარი წუხილი უკავშირდება ორი ტიპის ზემოქმედებას ბუნებრივ გარემოზე. ერთი ეხება ფიზიკურ ზემოქმედებას, კერძოდ ინფრასტრუქტურის, სარწყავი სისტემების, გზების და ეზოების დაზიანებას და მიწის დაჭაობებას, რაც შედარებით ადვილად გადასაჭრელი პრობლემებია, ხოლო მეორე ტიპის ზემოქმედებები უფრო რთული ხასიათისაა და უკავშირდება ხანგრძლივ ქიმიურ ზემოქმედებებს ჰაერზე, ნიადაგსა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე, რაც გამოწვევს ჩვენი მიწების ეკოლოგიურ დაზიანებებს. ეკოლოგიური თვალსაზრისით ნავთობით ჰაერის და ნიადაგის დაზიანებების რა საფრთხე არსებობს (პროცენტულად გამოხატული)? როგორ შეგიძლიათ დაგვიმტკიცოთ, რომ კომპლექსური შესწავლა ამომწურავია?	51	n/a	ლანჩხუთი
რა მოხდება ნავთობის ჰაერთან ურთიერთქმედების შედეგად?	52	n/a	ლანჩხუთი

შენიშვნა	ID	PAC <sup>1</sup>	რაიონი/ქალაქი
რატომ მოხდა ე.წ. პროექტორების დადაბლება? ისინი ზემოქმედებას ხომ არ მოახდენენ ნავთობის აორთქლებაზე?	53	სუფსა	ლანჩხუთი
ადგილობრივმა მოსახლეობამ თვითონ ჩაატარა კვლევები, რომელთა მიხედვით სუფსის მცხოვრებთა 80% გარდაიცვალნენ ავთვისებიანი სიმსივნით.	54	სუფსა	ლანჩხუთი
რა შეგიძლიათ გვითხრათ გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ? ჩატარდება ასეთი სამუშაოები?	55	n/a	მცხეთა
თქვენ ადრე ახსენეთ რომ სატრანსპორტო ნაკადების მარშრუტები შესწავლილი იქნება შეძლებისდაგვარად. პროექტის ფარგლებში იგეგმება ახალი გზების მშენებლობა? გაქვთ შემუშავებული დამატებითი გზების სქემა ან პროექტი?	56	n/a	მცხეთა
გაქვთ ინფორმაცია იმის შესახებ არის თუ არა ამ ტერიტორიაზე დასამტკიცებელი მიწის ნაკვეთები?	57	n/a	მცხეთა
მაინტერესებს დაწესდება თუ არა რაიმე შეზღუდვები მილსადენის არა-საექსპლუატაციო მონაკვეთებზე ან იმ მონაკვეთებზე, რომლებიც დაიცვება ნავთობისგან? გვინტერესებს რა საქმიანობების განხორციელება შეიძლება გრუნტის ზედაპირზე. მაგალითად, მშენებლობა ამ ეტაპზე აკრძალულია გაუქმებული დაცლილი მილის სიახლოვეს მშენებლობის დროს; სამუშაოების დასრულების შემდეგ მშენებლობა ნებადართული იქნება?	59	n/a	მცხეთა
მთავარი გზა წარმოადგენს ჩვენს მთავარ გამოწვევას, როცა დგება საკითხი ალტერნატიული/დამატებითი გზების შესახებ; შეგიძლიათ იმის გარანტირება, რომ მთავარი გზის დაზიანების შემთხვევაში მოხდება ამ გზის შეკეთება თუ ეს დამოკიდებულია მხოლოდ კონტრაქტორი კომპანიის კეთილ ნებაზე?	60	n/a	მცხეთა
ჩვენ უნდა დაველოდოთ ტენდერის გამარჯვებული კონტრაქტორის გამოცხადებას, იმისთვის რომ გადაწყდეს რომელი გზები განახლდება. შესაძლებელია ამ საკითხის გადახედვა?	61	n/a	მცხეთა
რა ოდენობის მიწის კომპენსაციას მიიღებენ ადგილობრივი მცხოვრებლები?	62	n/a	მცხეთა
გვინტერესებს კერძოდ რომელ მიწის ნაკვეთებს კვეთს საპროექტო მილსადენი. ასევე გვინდა მოგვაწოდოთ შემოთავაზებული მილსადენის გეგმა და კოორდინატები.	63	n/a	მცხეთა
ვითხოვთ ძველ და ახალ რუკებს, რომ არ გადავკვეთოთ გასხვისებული მიწების საზღვრები და ვიცოდეთ როგორ მოვიქცეთ, თუ ვინმე ეცდება ამ მიწის სამშენებლო მიზნებით გამოყენებას.	64	n/a	მცხეთა
მილსადენის გასწვრივ არსებობს საკონტროლო პუნქტები? ვფიქრობ, რომ უნდა დამონტაჟდეს დიდი ფლაგმენტები.	65	n/a	მცხეთა
ყოველ სამ თვეში 7-8 სამშენებლო პროექტის განაცხადია წარმოდგენილი სამშენებლო ნებართვის მისაღებად მისლადენის ზოლის გასწვრივ.	66	n/a	მცხეთა
თუ სამშენებლო ტერიტორიის ფარგლებში დამონტაჟებთ უახლეს რუკებს, ჩვენ არ მოგვიწევს მოგმართოთ თხოვნით მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ადგილების შესახებ, სადაც მშენებლობა არ არის ნებადართული.	67	n/a	მცხეთა

შენიშვნა	ID	PAC <sup>1</sup>	რაიონი/ქალაქი
BP-მ უნდა განსაზღვროს ამ ტერიტორიებზე ნებადართულია თუ არა გარკვეული შენობების, განსაკუთრებით ფერმების და ინდუსტრიული ნაგებობების მშენებლობა.	68	n/a	მცხეთა
შეიძლება კონტრაქტორ კომპანიას მოვთხოვოთ გზების აღდგენა თავდაპირველ მდგომარეობამდე, რამდენადაც დარწმუნებული ვარ, რომ მძიმე ტექნიკის გადაადგილება გზებს დააზიანებს.	69	n/a	მცხეთა
მილსა დაზიანების შემთხვევაში რა მოხდება?	70	n/a	მცხეთა
მილსადენი გადაკვეთს სოფლებს?	71	n/a	გარდაბანი
მილსადენი ზემოქმედება მოახდენს გარდაბნის მხოლოდ ორ მცხოვრებზე?	72	n/a	გარდაბანი
მოახდენს მილსადენი ზემოქმედებას მცხეთაში არსებულ ისტორიულ ძეგლებზე?	73	n/a	გარდაბანი
თქვენ არ გაქვთ ზუსტი ინფორმაცია რამდენი ადამიანის დასაქმებას გეგმავთ?	74	n/a	გარდაბანი
SCPX-ის პროექტისთვის ძირითადად დაქირავებული არიან თბილისის მცხოვრებნი და არა გარდაბნის მცხოვრებნი; მათ თავისი თანამშრომლები ჩამოყავთ თბილისიდან, რის გამოც აღარ ხდება ადგილობრივი მოსახლეობის დაქირავება.	75	n/a	გარდაბანი
დასაქმებასთან დაკავშირებით ვის უნდა მივმართოთ წერილობითი საჩივრით?	76	n/a	გარდაბანი
BP-ს პროექტში დასაქმებულნი არიან თბილისის და მარნეულის მცხოვრებნი. მათი გადაყვანა ხდება ავტობუსებით.	77	n/a	გარდაბანი
სპეციალისტების დასაქმება საკითხის ცალკე თემაა, თუმცა ამჯერად ჩვენ განვიხილავთ არაკვალიფიციური მუშახელის დასაქმებას.	78	n/a	გარდაბანი
ადგილობრივ მოსახლეობას შორის არის სხვადასხვა სპეციალისტი, მათ შორის შემდეგლებები.	79	n/a	გარდაბანი
ყველა ორგანიზაციას ყავს საზოგადოებასთან ურთერთობის ოფიცრები, რომლებიც მუშაობენ უბანზე. თუმცა, ჩვენ გვინტერესებს რატომ არ მოხდა ჩვენი დაქირავება; ეს საკითხი შესაძლოა განიხილოს და გადაწყდეს მათთან.	80	n/a	გარდაბანი
მაინტერესებს საველე სამუშაოებისთვის რა ტიპის სპეციალისტები გჭირდებათ?	81	n/a	გარდაბანი
როდის დაიწყება სამშენებლო სამუშაოები?	82	n/a	გარდაბანი
მუშახელის დასაქმება ძირითადად ხდება ნაცნობობით.	83	n/a	გარდაბანი
ჩვენ უკვე სამჯერ შემოვიტანეთ განაცხადი, თუმცა შემთხვევითი დასაქმების შესაძლებლობა გარდაბანში არ ყოფილა, ქესალოსა და ჯანდარასგან განსხვავებით. რატომ არ იქნა განხილული ჩვენი განაცხადები?	84	n/a	გარდაბანი
ადგილობრივ მცხოვრებლებისთვის რა ოდენობის მოსავლის კომპენსაციის გაცემას გეგმავთ?	85	ავჭალა, გლდანი	ავჭალა-გლდანი ხევი
სად ჩატარდება შეფასება? შეფასების პროცესში ჩართული იქნება აუდიტორი?	86	ავჭალა, გლდანი	ავჭალა-გლდანი ხევი